# მედლები საქართველოსთვის

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

## ვიწყებთ და ვიმარჯვებთ...



მარცხნიდან: ტარიელ მელელაშვილი, ბესარიონ ზურაბიანი, მირიან გიორგაძე.

**დაიწყო** საქართველოს სპორტსმენების დამოუკიდებელი გამოსვლები მსოფლიო სარბიელზე. ამ დღეებში, როგორც ვიუწყებოდით, თურქეთში დამთავრდა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. რედაქციაში მოვიწვიეთ დელეგაციის ხელმძღვანელი, სპორტის ამ სახეობაში რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ზურაბ ქორიძე, რომელმაც გაგვიზიარა ჩემპიონატის შთაბეჭდილებები.

— დავიწყებ იმით, რომ ნაკრებმა მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა ის ცენტრი, სადაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ესაა თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, მარტყოფი, საგარეჯო, ოზურგეთი და თერჯოლა. შესაძლებლობა მოგვეცა გუნდში ჩაგვერიცხა მხოლოდ რჩეული ათლეტები. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ ახლო წარსულში სპორტის ამ სახეობაში სერიოზული ჩავარდნები გვქონდა, წინ გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ სტამბულში ჩატარებული ჩემპიონატის შედეგებმა დიდი იმედები ჩაგვისახა, გვეზრდება შესანიშნავი თაობა, მომავალში ღირსეულად რომ წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკას ყველაზე პრესტიჟულ ასპარეზობებში.

როცა მსოფლიო ჩემპიონატში 34 ქვეყნის 35 ნაკრები გამოდის (თურქეთმა ორი გუნდი გამოიყვანა), წარმატებას იოლად ვერ მოიპოვებ. მით უფრო საამაყოა, რომ ჩვენმა ბიჭებმა როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებაში სენსაციურ გამარჯვებას მიაღწიეს. მოვუხმობთ ფაქტებს: 11-დან 7 მოჭიდავე შინ მედლით დაბრუნდა, აქედან სამი ოქროსია: 61 კგ. წონაში ტარიელ მელაშვილმა (სოფ. მარტყოფი) სასწაული მოახდინა — 7 შეხვედრიდან 6 წმინდად მოიგო (მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე). ოქროს მედალი ხვდათ აგრეთვე ბესარიონ ზურაბიანს (70 კგ; მწვრთნელი ვლადიმერ ზურაბიანი, სოფ. ოზურგეთი) და თერჯოლელ მირიან გიორგაძეს (95 კგ; მწვრთნელები შაქრო ბერძენიშვილი და ვაჟა კრაველიშვილი). მეორე ადგილზე გავიდნენ კობა ბალავინოვი (43 კგ) და თენგიზ სირაძე (51 კგ; — ორივე სოფელ ოზურგეთიდანაა, ისინი ძმები ზურაბიანების მოწაფეები არიან. ბრინჯაოს მედალი ხვდათ ქუთაისელ კახაბერ ცირამუას (55 კგ; მწვრთნელები ჯემალ კოსტავა და აკაკი ჯანგაველი) და რუსთაველ გელა ქარქუზაშვილს (83 კგ; მწვრთნელი ომარ მაისურაძე). ამასთან დავძენ, რომ დანარჩენებიდან IX ადგილის მიღმა არავინ დარჩენილა — თბილისელები დავით ბალიაშვილი (40 კგ;) და დავით ჭანკვეტაძე (76 კგ) მეხუთე იყვნენ, მეექვსე ადგილზე გავიდა საგარეჯოელი არჩილ ლაფაჩიშვილი (47 კგ), მეცხრეზე — ოზურგეთელი უჩა მჟავანაძე (60 კგ). მონაწილე ქვეყნებიდან საქართველოს გუნდი ერთადერთი იყო, რომელმაც ყველა წონით კატეგორიაში მიიღო ჩათვლა.

ახლა გუნდური შედეგები ვნახოთ: 1. საქართველო — 83 ქულა, 2. თურქეთი — 77, 3. რუსეთი — 62. ქულათა სხვაობის ანალიზი მკითხველისთვის მიგვინდვია. და კიდევ: 66 შეხვედრიდან ქართველმა ფალავნებმა მოიგეს — 50.

ასეთი წარმატება, ცხადია, მხოლოდ თავდადებული შრომის ნაყოფია. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დაწინაურებასა და საამაყო ტრადიციების აღდგენაში ლომის წილი უძევს დავით დავითაიას, რომელთან ერთად ნაკრები მოამზადეს ზურაბ ზურაბიანმა (ოზურგეთი), თამაზ ტუხაშვილმა, ვილიამ ხარაზოვმა და ვაჟა კრაველიშვილმა — სამივე თბილისელია. ნაკრების მომზადებაში დიდია ექიმ ციალა კვა-



მარცხნიდან: კობა ბალავინოვი. თენგიზ სირაძე, გელა ქარქუზაშვილი, კახაბერ ცირამუა.

იხ. მე-4 გვ.

**აბიტურიენტებს კიდევ ერთი არჩევანი**

# პირველები ჩვენ ვიქნებით

**სპორტის ფსიქოლოგია: ამიერიდან ამ დარგის სპეციალისტების მომზადება პირველად ჩვენში იწყება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში**

**გვესაუბრება საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, ახალშექმნილი სპორტის ფსიქოლოგიის სექტორის ხელმძღვანელის მოადგილე გივი დვალი.**

— სპორტის განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა დღის წესრიგში დააყენა სპორტში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხი. სპორტის ფსიქოლოგიაში კადრების მომზადება მხოლოდ ახლა იწყება. ამ მიზნით ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან და სპორტის ფსიქოლოგიის ასოციაციასთან ერთად შევქმენით სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა აღზრდის სექტორი — ამბობს ბატონი გივი.

● **რამდენწლიანი იქნება სწავლება?**

— შედგენილი და დამტკიცებულია პროგრამა; რომელიც ხუთწლიან სწავლებას მოიცავს და უზრუნველყოფს ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

● **როგორია აბიტურიენტთა მიღების წესი?**

— ჩვენთან გამოცდები არ იქნება, მთავარია; გასაუბრებისას დავრწმუნდეთ, რომ აბიტურიენტს აქვს მისწრაფება და სურვილი დაეუფლოს ამ სპეციალობას.

● **რამდენ აბიტურიენტს მიიღებთ პირველ კურსზე?**

— არანაკლებ ოცდახუთისა. დავძენ, რომ სწავლება სამეურნეო ანგარიშზეა.

● **ალბათ მსურველებს ყოველწლიური გადასახადის ოდენობაც დააინტერესებთ...**

— ვინც ნაღდ ფულს შემოიტანს, გადასახადი 10 ათასი მანეთია წელიწადში, გადარიცხვით — 13.

საბუთების მიღება დავიწყეთ 20 აგვისტოს და 5 სექტემბერს დავამთავრებთ. 6-დან 10 აგვისტომდე გასაუბრებებია, 15-დან კი სწავლას შევუდგებით. ბარემ გეტყვით მისამართსაც: თბილისი, ჭავჭავაძის 49. დაწვრილებითი ცნობების მიღება კი შეიძლება ტელეფონით—29-37-99.



თბილისის სპორტის სასახლე პირველად მასპინძლობს საერთაშორისო ტურნირს ტაილანდურ კრივსა და კიკ ბოქსინგში. მრავალფეროვანმა პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენს მაყურებლებში.


საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

22 აგვისტო, შაბათი, 1992 წ.
№ 51 (10 708) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**ვიმეორებთ მკითხველთა თხოვნით**

# სპორტული ლატარია „ბარსელონა-92“

## ოფიციალური ცხრილი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კორპორაცია „ინტერსპორტლოტოს“ „ბარსელონა-92“ ფულად მომგებიანი ლატარიისა, რომელიც გაიმართა 1992 წლის 17 აგვისტოს ქ. თბილისში.

ტირაჟში გათამაშდა 720 ათასი მანეთის ფულადი მოგებები.

მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების შემდეგ სერიებსა და ნომრებს.

| სერიის № | ბილეთის № | ფულადი მოგების რაოდენობა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 044541 | 299 | 1.000 | მანეთი |
| | | | | 044549 | 466 | 10.000 | მანეთი |
| | | | | 044743 | 410 | 1.000 | მანეთი |
| 040012 | 061 | 1.000 | მანეთი | 044840 | 080 | 10.000 | მანეთი |
| 040017 | 473 | 5.000 | მანეთი | 044900 | 356 | 5.000 | მანეთი |
| 040048 | 409 | 5.000 | მანეთი | 044916 | 405 | 10.000 | მანეთი |
| 040384 | 410 | 1.000 | მანეთი | 044929 | 433 | 1.000 | მანეთი |
| 040385 | 391 | 1.000 | მანეთი | 044952 | 359 | 5.000 | მანეთი |
| 040599 | 061 | 1.000 | მანეთი | 045406 | 485 | 10.000 | მანეთი |
| 040617 | 402 | 1.000 | მანეთი | 045407 | 300 | 5.000 | მანეთი |
| 040712 | 227 | 1.000 | მანეთი | 045421 | 390 | 1.000 | მანეთი |
| 040732 | 471 | 1.000 | მანეთი | 045497 | 365 | 1.000 | მანეთი |
| 040756 | 104 | 1.000 | მანეთი | 045631 | 103 | 1.000 | მანეთი |
| 040764 | 105 | 1.000 | მანეთი | 045665 | 394 | 1.000 | მანეთი |
| 040768 | 226 | 1.000 | მანეთი | 046020 | 466 | 5.000 | მანეთი |
| 040923 | 482 | 20.000 | მანეთი | 046395 | 471 | 1.000 | მანეთი |
| 040957 | 41[illegible] | 1.000 | მანეთი | 046447 | 482 | 1.000 | მანეთი |
| 040980 | 459 | 20.000 | მანეთი | 046541 | 334 | 10.000 | მანეთი |
| 041159 | 105 | 1.000 | მანეთი | 046693 | 263 | 5.000 | მანეთი |
| 041235 | 266 | 25.000 | მანეთი | 046730 | 471 | 1.000 | მანეთი |
| 041260 | 485 | 1.000 | მანეთი | 046845 | 277 | 5.000 | მანეთი |
| 041293 | 268 | 1.000 | მანეთი | 047073 | 094 | 10.000 | მანეთი |
| 041574 | 426 | 10.000 | მანეთი | 047099 | 459 | 1.000 | მანეთი |
| 041714 | 162 | 5.000 | მანეთი | 047143 | 391 | 5.000 | მანეთი |
| 041760 | 483 | 1.000 | მანეთი | 047373 | 411 | 1.000 | მანეთი |
| 041869 | 414 | 20.000 | მანეთი | 047378 | 390 | 5.000 | მანეთი |
| 041894 | 365 | 1.000 | მანეთი | 047581 | 080 | 1.000 | მანეთი |
| 041896 | 418 | 1.000 | მანეთი | 047582 | 094 | 10.000 | მანეთი |
| 042304 | 485 | 10.000 | მანეთი | 047709 | 279 | 50.000 | მანეთი |
| 042421 | 270 | 5.000 | მანეთი | 047765 | 485 | 1.000 | მანეთი |
| 042608 | 228 | 10.000 | მანეთი | 047898 | 413 | 10.000 | მანეთი |
| 042619 | 467 | 1.000 | მანეთი | 047990 | 270 | 1.000 | მანეთი |
| 042632 | 474 | 1.000 | მანეთი | 048034 | 417 | 5.000 | მანეთი |
| 042835 | 225 | 1.000 | მანეთი | 048060 | 105 | 1.000 | მანეთი |
| 042847 | 402 | 1.000 | მანეთი | 048071 | 409 | 5.000 | მანეთი |
| 043068 | 106 | 5.000 | მანეთი | 048084 | 225 | 25.000 | მანეთი |
| 043190 | 483 | 5.000 | მანეთი | 048105 | 249 | 5.000 | მანეთი |
| 043329 | 407 | 1.000 | მანეთი | 048183 | 109 | 5.000 | მანეთი |
| 043355 | 068 | 50.000 | მანეთი | 048419 | 359 | 5.000 | მანეთი |
| 043389 | 393 | 1.000 | მანეთი | 048459 | 427 | 20.000 | მანეთი |
| 043445 | 264 | 5.000 | მანეთი | 048564 | 483 | 1.000 | მანეთი |
| 043482 | 485 | 5.000 | მანეთი | 048633 | 413 | 1.000 | მანეთი |
| 043653 | 317 | 1.000 | მანეთი | 048941 | 462 | 10.000 | მანეთი |
| 043681 | 365 | 5.000 | მანეთი | 049083 | 299 | 1.000 | მანეთი |
| 043884 | 459 | 10.000 | მანეთი | 049161 | 266 | 25.000 | მანეთი |
| 044015 | 209 | 1.000 | მანეთი | 049234 | 391 | 1.000 | მანეთი |
| 044068 | 191 | 10.000 | მანეთი | 049244 | 425 | 100.000 | მანეთი |
| 044176 | 299 | 1.000 | მანეთი | 049248 | 078 | 5.000 | მანეთი |
| 044181 | 483 | 1.000 | მანეთი | 049392 | 280 | 1.000 | მანეთი |
| 044215 | 402 | 1.000 | მანეთი | 049457 | 275 | 25.000 | მანეთი |
| 044428 | 394 | 1.000 | მანეთი | 049460 | 452 | 5.000 | მანეთი |
| 044470 | 226 | 10.000 | მანეთი | 049682 | 279 | 20.000 | მანეთი |

შენიშვნა: 1.000 მანეთიანი მოგებები გაიცემა უშუალოდ შემნახველი ბანკის განყოფილებების მიერ, ხოლო 1.000 მანეთზე ზემოთ მოგებები მფლობელებზე გაიცემა მას შემდეგ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკი შეამოწმებს ბილეთს ექსპერტიზაზე.

ლატარიის ბილეთების მიღება მოგებათა გასანაღდებლად იწარმოებს 1992 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომისიის თავმჯდომარე — „ინტერსპორტლოტოს“ დირექტორი კომერციულ დარგში

კ. ტაბატაძე

პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის ექსპერტიზის განყოფილების უფროსი

ზ. ჩიტალაძე

**ჭადრაკი**

## ბრინჯაოს მედლით...

**16 წლამდე** ასაკის მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატებს მასპინძლობდა ჩეხეთ-სლოვაკეთის ქალაქი რიმავსკა-სვობოტა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან. საუკეთესოდ იასპარეზეს თბილისის 151-ე სკოლის მეექვსეკლასელმა თინა ყველიაშვილმა, რომელმაც 12-წლიანებში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და 58-ე სკოლის მეათეკლასელმა თამარ ფაჩულიამ — იგი მეოთხე იყო 16-წლიანთა შეჯიბრებაში.




ბარსელონა. ● XXV ოლიმპიური თამაშები
● მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავთა გაელვება

# მებაირახტრე

ამომავალი მზის ქვეყნის ძიუდოისტებს აბსოლუტურ და მძიმე წონებში გამარჯვების საკმაოდ დასაბუთებული პრეტენზიები აქვთ, ისევე, სხვათა შორის, როგორც ქართველ ათლეტებს. ეს პრეტენზიები ორთავე მხრიდან კონკრეტული მაგალითებითა და პიროვნებებით არის განმტკიცებული.

ბოლო დროს მძიმე წონის ძიუდოისტთა შორის განუკითხავად ბატონობდა ბრწყინვალე იაპონელი ათლეტი ნაოია ოგავა, კაცი, რომელმაც შედარებით მოკლე დროში ოთხჯერ მოასწრო მსოფლიო ძიუდოს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა.

ოგავას ულრუბლო და ბედნიერ ცხოვრებას ბოლო დროს ჩრდილი წამოეფარა საქართველოს მხრიდან. მაგრამ იმის გამო, რომ ჩემპიონის ოპონენტი დავით ხახალეიშვილი ახალგაზრდა და ამიტომაც მაღალ წრეებში ნაკლებად ცნობილი ძიუდოისტი იყო, მის ხმას ბოლომდე სერიოზულად არავინ იღებდა. ეს იყო მანამ, სანამ ოგავა განუკითხავად ბატონობდა მსოფლიო სარბიელზე. თუმცა შარშან, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ასევე ბარსელონაში ჩატარდა, დავითმა საკმაოდ დიდი ძალა და მტკიცე ხასიათი გამოამჟღავნა: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, იმ ერთი ნაბიჯის გადადგმა ახალგაზრდა ქუთაისელ ძიუდოისტს იმავე ოგავამ დაასწრო.

როცა დავითი ბარსელონაში ოლიმპიურ თამაშებზე სასპარეზოდ მიემგზავრებოდა, გრძნობდა, რომ შარშანდელი შეცდომის გამოსწორება სწორედ იქ იყო უპრიანი, იმავე აუდიტორიის წინაშე, რომელთანაც ხელახლა კონტაქტის დამყარება არ სჭირდებოდა. შეცდომა მართლაც გამოსწორდა, თანაც ისე, რომ ეჭვის საბაბი არავის დარჩენია.

პირველი მედალი თავისუფალი საქართველოს ოქროს ყულაბაში ჩვენი ოლიმპიური სათვისტომოს მებაირახტრემ (დიახ, დავითს ეს პატივიც დასდეს ბარსელონის თამაშების გახსნის ცერემონიალზე) დავით ხახალეიშვილმა შეიტანა. ბარაქალა შენ, დავით! დიდება ამ ზღვა სიხარულისთვის.













1. ერთწუთიანი დრამის ფინალი (გააჩნია ვისთვის იყო დრამა), რომელსაც ქართველი გულშემატკივრის დიდი სიხარული მოჰყვა: დავით ხახა ლეიშვილი ჩემპიონია; 2. ახალი ოლიმპიური ჩემპიონის პატივსაცემად საქართველოს ეროვნულ დროშას ამაგრებენ ანძაზე; 3. ისტორიული მომენტი: ამაყად ფრიალებს დამოუკიდებელი საქართველოს დროშა იაპონიის, საფრანგეთისა და უნგრეთის სახელმწიფო ალმების გვერდით; 4. გამარჯვების სიხარული: ოლიმპიურ ჩემპიონს ბრწყინვალე წარმატებას ულოცავს სპორტისა და ტურიზმის მინისტრი კახი ასათიანი; 5. ახალი ჩემპიონის პირველი ინტერვიუ. ტელევიზიის კომენტატორი თამარ ბალავაძე სასიამოვნო ცნობას გადასცემს საქართველოს.

თანგიზ ბაჩეჩილაძის ფოტორეპორტაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის დაწყების წინ რამდენიმე შესწორება შეიტანა მის დებულებაში და გათამაშებაც ახალი ფორმულით დაიწყო. უცვლელი დარჩა მხოლოდ მთავარი — „შემოდგომა-გაზაფხულის" სისტემა.

ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო განყოფილების უფროსს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თამაზ კოსტავას.

— უმაღლეს და პირველ ჯგუფებში გუნდების რაოდენობა უცვლელი დავტოვეთ — 20-20, ხოლო მესამე და მეოთხე ჯგუფები ახალ, მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს ჯგუფი 3 ქვეჯგუფად დავყავით — აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი. რაც შეეხება შესარჩევ ჯგუფს, იგი უცვლელად დარჩა.

გასული პირველობებისგან განსხვავებით, უმაღლეს, პირველ, მეორე ჯგუფებს, ნაცვლად ორისა, დატოვებს სამ-სამი გუნდი. ეს ჯგუფები, ცხადია, ამ რაოდენობისავე კოლექტივებით შეივსება. მეორე ჯგუფის ქვეჯგუფებში მეორე ადგილებზე გასული გუნდები კი ნეიტრალურ მინდორზე თითო გადასასვლელ მატჩს გამართავენ პირველ ჯგუფში მე-15, მე-16 და მე-17 ადგილებზე გასულ გუნდებთან.

● **რამ გამოიწვია, მესამე და მეოთხე ჯგუფების გაუქმება, მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება?**

— ამით გვსურდა შეგვემცირებინა გუნდების რაოდენობა და, რაც მთავარია, ხელი შეგვეწყო შეჯიბრების მონაწილეთათვის, რაც შეიძლება ტერიტორიულად ახლოს ეთამაშათ ერთმანეთთან. ეს რამდენადმე გამორიცხავს გუნდების გამოუცხადებლობის შემთხვევებს დანიშნულ მატჩებზე.

## უცვლელი დარჩა მხოლოდ მთავარი...

● **ამჯერადაც ხომ არ აპირებთ შეღავათების მიცემას გამოუცხადებლობისთვის?**

— ახლა ასეთ გუნდს, როგორც უწინ, ჩაეთვლება წაგება — 0:3 და დაჯარიმდება შესაბამისი თანხით: უმაღლეს ჯგუფში — 50.000 მანეთით, პირველში — 30.000, მეორეში — 15.000, ამასთან, დაისმება გამოუცხადებელი გუნდის ხელმძღვანელების გათავისუფლების საკითხი. უმიზეზოდ ორჯერ გაცდენილი მატჩისთვის გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან. იმ შემთხვევაში, თუ მას 50 პროცენტზე მეტი შეხვედრა აქვს გამართული, ეს შედეგები ბოლომდე დარჩება გათამაშებაში, ხოლო დანარჩენებში ჩაეთვლება წაგება ანგარიშით — 0:3, ესე იგი, მისი მეტოქეები სატურნირო ცხრილში დაიწერენ მოგებას სწორედ ასეთი ანგარიშით. ნახევარზე ნაკლები ჩატარებული მატჩების შემთხვევაში გუნდი ეთიშება გათამაშებას და მისი შედეგები საერთოდ უქმდება. ორივე შემთხვევაში ასეთი გუნდი მომდევნო ჩემპიონატს შესარჩევი ჯგუფიდან დაიწყებს.

● **სტადიონის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მასპინძელი გუნდები ადრე მეზობელ ქალაქში ატარებდნენ მატჩებს...**

— ამ შემთხვევაში, უმაღლესი და პირველი ჯგუფების დასავლეთის რეგიონის გუნდები ითამაშებენ აღმოსავლეთში და პირიქით — აღმოსავლეთისა — დასავლეთში.

მეორე და შესარჩევი ჯგუფების გუნდები ამგვარ სიტუაციაში მატჩებს გამართავენ თავიანთი ადგილსამყოფელიდან არანაკლებ 100 კილომეტრის დაშორებით.

ესაუბრა **რამინ ყურაშვილი.**







## უმთავრესი ის გახლდათ...

**ეს** მანამდე, „ამ დღეებამდე" იყო: 8 აგვისტოს სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, დაახლოებით 10 წელია არ ახსოვთ აქაურ სპორტის მოყვარულებს. მიზეზი გახლდათ სპორტის ერთ-ერთი ეგზოტიკური და მართლაც ვაჟკაცური სახეობა კიოკუშინ კარატე ანუ სრულკონტაქტიანი კარატე დამცავი საშუალებების გარეშე. ბარემ აქვე გაუწყებთ: სუფთა გამარჯვება „იპონი" აქ ნოკაუტის შემთხვევაში ენიჭებათ, „ვაზარი" (ანუ ნახევარი მოგება) — ნოკდაუნისა. ერთი სიტყვით, „მკაცრი" სახეობაა, გულსუსტებს აქ არაფერი ესაქმებათ, ზოგან, მაგალითად, კარატეს ამ სახეობის წარმომადგენლებს XX საუკუნის გლადიატორებსაც უწოდებენ. უცხოეთში ხალხი ამნაირ შეჯიბრებებს, ცხადია, ძალიან ეტანება და ბილეთების ტრადიციულ სიძვირეს არად დაგიდევთ.

თუმცა სოხუმის სტადიონზე შეკრებილნი სანახაობას როდი დახარბებიან — მათთვის უმთავრესი ის გახლდათ, რომ აქ ტარდებოდა საქართველოს ჩემპიონატი, ამ შემთხვევაში კიოკუშინ კარატეში, რომელშიც თბილისელ, თელაველ, გორელ, ჭიათურელ, სამტრედიელ, ჩაქველ, სოხუმელ, ოჩამჩირელ და გუდაუთელ ათლეტებს უნდა ესაპარეზათ. ჩემპიონატს სპონსორიც ავტორიტეტული ჰყავდა — საფეხბურთო კლუბი „ცხუმი" (პრეზიდენტი გურამ გაბისკირია) და არც საპრიზო ფონდი დაეწუნებოდა — 200000 მანეთი.

პირველობა სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა და სამივეში ფავორიტებმა იმარჯვეს. 70 კგ-მდე წონაში ვის უნდა ეჯობნა 35 წლის გამოცდილ, ტიტულოვან და არამარტო საქართველოში აღიარებულ თბილისელ ოთარ გელაძისთვის (სიმაღლე 174 სმ, წონა 68 კგ, ვარჯიშობს გურამ ბარაბაძესთან)?

80 კგ-მდე წონაში უძლიერესი იყო კლუბ „დიოსკურიას" აღზრდილი, სოხუმელი სერგო გოგია (180 სმ, 79 კგ, მწვრთნელი ვიტალი ბარაბაძე). მანვე დაიმსახურა სპეციალური პრიზიც.

სენსაცია არც მძიმე წონაში მომხდარა — გაიმარჯვა სოხუმის კლუბ „კუმიტეს" დირექტორმა ტარიელ ბიწაძემ, ახლო წარსულში უძლიერესმა ქართველმა ბირთვის მკვრელმა (196 სმ, 118 კგ).

მაყურებელს აუცილებლად დაახსომდებოდა საქართველოს რკინიგზის პროფკავშირთან არსებული, რესპუბლიკაში პირველი კარატეს სპეციალიზებული სპორტსკოლის „ორბის" (დირექტორი გ. ბარაბაძე) აღსაზრდელთა გამოსვლაც, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს. ყველაზე დიდი სიმპათია კი გუდაუთიდან ჩამოსულმა 6-8 წლის ნორჩმა ქართველმა კარატისტებმა და მათმა დამრიგებელმა, გუდაუთის წმინდა გიორგის ეკლესიის მსახურმა კახაბერ კაკაბაძემ დაიმსახურეს.

ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, კიოკუშინ კარატეს საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში, საქართველოს ამ სახეობის ფედერაციის თავმჯდომარემ, შავი ქამრის მფლობელმა გურამ ბარაბაძემ საინტერესო რამ გვაცნობა: ჩვენი კარატისტები ემზადებიან პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც წლეულს, ოქტომბერში, ჩატარდება სინგაპურში. ეს ჩემპიონატიც ამ შეჯიბრებისთვის მზადებასა და საუკეთესოთა შერჩევას ემსახურებოდა.

„ლელოს" კორ.



**სურათებზე (ზევით, მარცხნიდან):** ოთარ გელაძე, სერგო გოგია, ტარიელ ბიწაძე; ქვევით — ორთაბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი.

ვლადიმერ არუთინოვის ფოტოები.

## თბილისის „დინამო" პოლონეთში

**საქართველოს** IV საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ, არდადეგებისას, ამხანაგური საწვრთნელი შეხვედრების გასამართავად თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ეწვივნენ პოლონეთს. მათი მასპინძელი იყო პოლონეთის ჩემპიონატის I ლიგის გუნდი ქ. კატოვიცეს გკს. ამ კოლექტივთან თბილისელებს მჭიდრო კონტაქტები აქვთ, გკს შარშან სტუმრად იმყოფებოდა თბილისში, სადაც ივარჯიშა და ამხანაგური მატჩებიც გამართა.

პირველი შეხვედრა კატოვიცეში, გკს-სა და თბილისის „დინამოს" შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით. ანგარიშით 5:2. შემდეგ დინამოელები სოსნოვეცში შეხვდნენ ასევე I ლიგის გუნდს „ზაგლემბეს" და აქაც იოლად გაიმარჯვეს — 4:0.

შემდგომში თბილისის „დინამომ" ორი მატჩი გამართა II ლიგის გუნდებთან — „ნაპშუდთან" და „კონკორდიასთან" და ორივე ერთნაირი ანგარიშით მოიგო — 3:2.

დაბოლოს, დინამოელები კვლავ გკს-ს შეხვდნენ კატოვიცეში, ამჯერად მასპინძლები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ — 2:1.

თბილისის დინამოელი ზაზა რევიშვილი ერთწლიანი კონტრაქტით ითამაშებს კატოვიცეს გკს-ში, ხოლო გია გურული, რომელიც ამ გუნდში გამოდიოდა, გადავიდა საფრანგეთის „ჰავრში".

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**1994 წლის** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გაიმართა ევროპის ზონის III ჯგუფში. რიგის „დაუგავას" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ლატვიისა და ლიტვის ნაკრები გუნდები.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, ლინარტსმა ბურთიც გაიტანა, მაგრამ ლიტველმა პოდერისმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ტელესკინასმა გამარჯვების გოლი გაიტანა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა ლიტვის ნაკრებმა.

● **ტალინში** ერთმანეთს შეხვდნენ I შესარჩევი ჯგუფის გუნდები — ესტონელებმა მიიღეს შვეიცარიის ნაკრები. შვეიცარიელთა უპირატესობა აშკარა იყო — 6:0.

● **მოსკოვში** ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთისა და მექსიკის გუნდები. თამაში მოიგეს რუსეთის ფეხბურთელებმა — 2:0, ამ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა ყოფილმა თბილისის დინამოელმა ომარ თეთრაძემ.

საინტერესოა, რომ მექსიკის ნაკრებს ამჟამად ხელმძღვანელობს ცნობილი არგენტინელი სპეციალისტი ლუის სესარ მენოტი.

● **დამთავრდა** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის წინასწარი თამაშები „ა" და „ბ" ჯგუფებში, რის შედეგადაც შედგა ჩემპიონობის წოდებისთვის მებრძოლი 8 გუნდის ფინალური ჯგუფი. ე. წ. „ოქროს ქულებით" წინ არიან მოსკოვისა (9 ქულა) და ვლადიკავკაზის (8) „სპარტაკის" გუნდები. ფინალურ ჯგუფში შევიდნენ მოსკოვის „დინამო" და „ასმარალი", ნიჟნი ნოვგოროდისა და მოსკოვის „ლოკომოტივი" (6-6 ქულა), აგრეთვე ცსკა (4) და როსტოვის „როსტსელმაში" (3).

● **მოსკოვში** გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივ ცსკა-სა და ესპანეთის ქ. ბარსელონის „ესპანიოლს" შორის. თამაში მოიგეს ესპანელმა ფეხბურთელებმა — 2:1.

ოლიმპიური სტატისტიკა

### ევროპა ავანგარდშია

**გაზეთ** „იუროპიენმა" თავის ერთ-ერთ ბოლო ნომერში ორიგინალურად შეაჯამა XXV ოლიმპიადის შედეგები და დაბეჭდა საინტერესო წერილი სათაურით: „ევროპა — მთელი პლანეტის ავანგარდში". ამ წერილში საუბარია ევროპის სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ ოლიმპიურ მედლებზე და შედარებულია ისინი სხვა კონტინენტების მონაცემებთან. ამ შედარების საფუძველზე გამოყვანილია საკმაოდ საინტერესო ცხრილი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

| | ო. | ვ. | ბ |
|---|---|---|---|
| ევროპა | 150 | 143 | 158 |
| ამერიკა | 59 | 51 | 61 |
| აზია | 37 | 39 | 54 |
| ავსტრალია | 8 | 13 | 16 |
| აფრიკა | 5 | 12 | 8 |

**შენიშვნა:** ამერიკის კონტინენტის შედეგებში დაჯამებულია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის სპორტსმენთა მაჩვენებლები, ავსტრალიას კი მალაიზიის შედეგებიც დაუმატეს.

### რა ხდება ქვეყანაზე

**1993 წლიდან** მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე — ევერესტზე ასასვლელი გადასახადი სულ ცოტა ხუთჯერ გაიზრდება და გახდება 50 ათასი დოლარი ალპინისტთა ხუთკაციანი ჯგუფისთვის. ამას იუწყებიან კატმანდუდან ნეპალის ტურიზმის სამინისტროს განცხადებაზე დაყრდნობით. ერთი ჯგუფის შემადგენლობა უნდა განისაზღვრებოდეს ხუთი კაცის ოდენობით, ხოლო შემდეგ გადასახადი ორჯერ მატულობს. მაგალითად, შვიდკაციანმა ჯგუფმა მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ასვლისთვის უნდა გადაიხადოს 100 ათასი დოლარი. გამოდის, რომ ევერესტისკენ მიმავალი ყოველი მეტრი დაახლოებით 5,5 დოლარი ღირს.

**იდეა** ტრანსკონტინენტური ავტომარათონის („ევროპა უსაზღვრებოდ") მოწყობის შესახებ, ეკუთვნით საფრანგეთისა და რუსეთის პრეზიდენტებს. ამიტომ დაიწყო იგი პარიზში და ყოფილი საბჭოთა კავშირის გავლით დამთავრდა ნახოდკაში. მარათონი რომ უფრო ავტორიტეტული ყოფილიყო, მასში მონაწილეობა მიიღეს ფრანსუა მიტერანისა და ბორის ელცინის პირადმა მძღოლებმაც — პიერ ტურიემ და იგორ ვასილიევმა. „რენოს" ფირმის ავტომანქანები ნახოდკის პორტიდან გემით იაპონიაში გადავიდნენ.

**ცნობილი** შვედი ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი ამაოდ ცდილობს დიდ სპორტში დაბრუნებას. ყოველ შემთხვევაში, ამის რამდენიმე ცდა წარუმატებლად დამთავრდა. მაგრამ ბორგი განზრახვაზე საბოლოოდ ხელს მაინც არ იღებს, თუმცა კი წლები გადის და სასწაულის მოხდენა სულ უფრო ძნელი ხდება. არადა, არსებობისთვის რაღაც კაპიტალია საჭირო. ექსჩემპიონმა გადაწყვიტა ამ პრობლემის მოგვარება კინემატოგრაფის დახმარებით. ამ სფეროში მას გამოუჩნდა რამდენიმე ქომაგი, რომლებიც ბორგს ოქროს მთებს პირდებიან.

რა ხდება ქვეყანაზე

# მედლები საქართველოსთვის

## ვიწყებთ და ვიმარჯვებთ...

(დასასრული)

რაცხელიას დამსახურება. ფედერაციამ კი, კერძოდ, მისი პრეზიდენტის რომან რურუას ორგანიზატორულმა ნიჭმა და სამართლიანმა პრინციპულობამ, მისმა გაუზომელმა ავტორიტეტმა ჭიდაობის სამყაროში, დიდად განაპირობა წარმატება სტამბულში. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ კუხიანიძე, რომელიც უნარიანად უძღვება თავის საქმეს. იგივე ითქმის ფედერაციის გენერალურ მდივანზე ვაჟა გოგიაშვილზე. მათ აქ იმიტომაც ვახსენებ, რომ ისევე, როგორც ყველა საქმეში, სპორტშიც კონკრეტული პიროვნებები წყვეტენ ყველა პრობლემას და მათ საქმიან თვისებებზეა დამოკიდებული წარმატებები. ეს ყველამ უნდა ვაღიაროთ, დავაფასოთ თავდადებული ადამიანები. მადლობა მათ, ვინც, ასე ვთქვათ, სცენაზე არ ჩანან, მაგრამ ხელს გვიწყობენ, ჩვენთან ერთად ეწევიან ჭაპანს. ოზურგეთის ფედერაციის თავმჯდომარემ იური სიორიძემ ისიც კი მოახერხა, რომ სტამბულში გულშემატკივრების რაზმი ჩამოიყვანა, წყალტუბოელმა თემურ კირტავამ კი ჩემპიონატის წინ წყალტუბოში მოწყობილ შეკრებაზე ფაქტობრივად გადაგვიწყვიტა სპორტსმენთა კვების ყველა პრობლემა. თურქეთში წარმოუდგენლად დიდი დახმარება გაგვიწია ამჟამად რიზეში მომუშავე მწვრთნელმა ბათუმელმა ილია ვარშანიძემ.

რაკი ამდენი ვთქვი ქველმოქმედებაზე, ბარემ იმასაც დავძენ, რომ ჩემპიონატის შემდეგ ყველა თურქ ჩემპიონს (ორ გუნდში ასეთი ხუთი იყო) 50-50 ცალი ოქროს მონეტა მისცეს და იქვე ჩააბარეს ბინების გასაღები, ბიზნესმენები კი ხალხის თვალწინ ხალისით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ვინ მეტ თანხას გაიღებდა ჩემპიონებისთვის საჩუქრად. ცხადია, ჩვენც დაგვიდგება ეს დრო, თავისუფალი საქართველო თავის რჩეულ სპორტსმენებს ყურადღებას არ მოაკლებს, როცა ამის შესაძლებლობა მოგვეცემა.

ახლა მთავარია ქართულ სპორტს ყველამ ერთად მივხედოთ და მხოლოდ წინ ვიაროთ.

**ჩაიწერა თ. ბაქრაძემ.**

თავისუფალი ჭიდაობა

# დაფიქრება ყველას გვმართებს



მარცხნიდან: იოსებ მეხრიშვილი, გოჩა ჩიხრაძე.

**როგორც** კი დამთავრდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი სტამბულში, ხალიჩა თავისუფალი სტილის ფალავნებს დაეთმოთ. „კლასიკოსთა" ფონზე მათი შედეგები მოკრძალებულია, შეიძლება ითქვას, დამაფიქრებელიც.

რედაქციაში მოვიწვიეთ ნაკრების უფროსი მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი და რამდენიმე შეკითხვაზე ვთხოვეთ გაეცა პასუხი.

● **სრული გუნდით გაუმგზავრეთ სტამბულში?**

— ოფიციალურად ნახევარი გუნდით, მაგრამ მეორე ნახევარი ჩვენი ინიციატივით წავიყვანეთ.

● **მიზეზი?**

— სახსრები. იმ მეორე ნახევარს რაღაც გზებით გამოვუნახეთ თანხა.

● **სრული გუნდი დაუშვეს მსოფლიო პირველობაზე?**

— კი, მაგრამ მასპინძლებმა მოითხოვეს სასტუმროსა და კვების ხარჯები. საბოლოოდ იქაურმა ქართველმა გვიხსნა, რომელიც თურქეთის ფედერაციის თავმჯდომარეა.

● **მხოლოდ ერთი ჩემპიონი, განა ეს - საგანგაშო არ არის?**

— ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, გვაკლდა საშეჯიბრებო გამოცდილება. წლეულს მხოლოდ ერთ გარე ასპარეზობაში მივიღეთ მონაწილეობა.

● **ირანში ამ თვენახევრის წინათ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში რატომ არ გამოხვედით?**

— ჩვენამდე რატომღაც მიწვევამ არ მოაღწია.

● **კმაყოფილი ხართ ფედერაციის მუშაობით?**

— ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ იაშვილი ბევრს ცდილობს, მაგრამ მეტი მხარდაჭერაა საჭირო.

● **მხოლოდ საშეჯიბრებო პრაქტიკის ნაკლებობა იყო წარუმატებლობის მიზეზი? იქნებ მწვრთნელებსაც მართებთ დაფიქრება...**

— ამ ასაკში საერთო ჩავარდნა გვაქვს და მიზეზები შორს მიდის, ცხადია, მწვრთნელებსაც მართებთ დასკვნების გამოტანა. ისე, 43 ქვეყანასთან ჭიდილში VI გუნდური ადგილი არ არის სამარცხვინო, მაგრამ ჩვენ ხომ ყველა მაქსიმალისტები ვართ. დავძენ, ასაკის გადაკეთებას ახლა უცხოეთშიც მოუკიდია ფეხი, ჩვენი ბავშვები, ფაქტობრივად, დავაჟკაცებულებს ხვდებოდნენ. საყვედური ამერიკელებმაც გამოთქვეს.

● **რას აპირებთ სამომავლოდ?**

— ყველა მიხვდა, რომ მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს, ამას ახლა თვით სპორტსმენებიც კარგად გრძნობენ.

● **დაგვისახელეთ სტამბულში გამარჯვებულები და პრიზიორები.**

— ოქროს მედალი მოიპოვა თელაველმა იოსებ მეხრიშვილმა, მეორე იყო გორელი გოჩა ჩიხრაძე. დანარჩენებიდან ჩათვლა (ათეული) მხოლოდ სამმა მოჭიდავემ ვერ მიიღო.

● **ვინ გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში?**

— ირანმა, შემდეგ მოდიან რუსეთი, თურქეთი, ინდოეთი, აშშ, უკრაინა და საქართველო.

## კოკა კლდიაშვილი



საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლამ ბევრ ახალგაზრდას აღებინა ხელში იარაღი დედასამშობლოს სუვერენიტეტის დასაცავად. ამ ბიჭებმა ჭეშმარიტი პატრიოტობა და წინაპართა ეროვნული რაინდული სული გამოავლინეს. ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი მათ შორის იყო თბილისელი კოკა კლდიაშვილი.

26 წლის ახალგაზრდა ლესელიძეში საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრის დასაცავად ჩავიდა. პოსტზეც ვერ მოასწრო დადგომა, რომ სეპარატისტთა ტყვიამ იმსხვერპლა. კოკას კარგად იცნობდნენ სპორტის გულშემატკივრები. ის შესანიშნავი მორაგბე იყო, უფრო ადრე კი ჩოგბურთით იყო გატაცებული. 1984 წელს დაიწყო რაგბის თამაში სამხატვრო აკადემიის გუნდში. ერთი წლის შემდეგ უნიკალური სპორტული მონაცემების სპორტსმენი უმაღლესი ლიგის გუნდში „ლოკომოტივში" ჩარიცხეს, სადაც 1989 წლამდე ითამაშა. 1988 წელს იგი ყოფილი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოდიოდა. მხოლოდ ფეხის ტრავმის გამო გამოეთხოვა ნაადრევად სპორტის საყვარელ სახეობას.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, რაგბის სამყარო შეაძრწუნა კოკა კლდიაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა. დაობლდა ოჯახი, საძმომ და თბილისმა დაკარგა მაღალი კულტურისა და ზნეობის ვაჟკაცი, კაცი, რომელიც მუდამ სამაგალითო იყო სპორტში და ცხოვრებაში.

კოკა კლდიაშვილის ნათელმოსილ სახელს სამარადისოდ შემოინახავს ჩვენი ხალხის ხსოვნა. ასეთ ვაჟკაცებს შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს და მუდამ მიაგებს ჯეროვან პატივს.

**საქართველოს რაგბის კავშირი**

### ინფორმაცია

● **XXV ოლიმპიადაში** გამარჯვებულ ბერძენ სპორტსმენებს პარასკევი პატულიდსა და პიროს დიმასს სამშობლოში დაბრუნებისას ზღაპრული შეხვედრა მოუწყვეს. აეროპორტიდან სამხედრო ჯიპებით მთელი ათენის გავლით ისინი მარმარილოს სტადიონზე მიიყვანეს, სადაც 1896 წელს თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. აქვე გაიმართა საზეიმო სანახაობა, ქვემეხების სალუტი, სამხედრო აღლუმი, მერე კი ჩემპიონებს გადასცეს 50 ათასი დოლარი (თითოეულს).

### ჩვენი რა საქმეა. მაგრამ... გულმა გული თუ ფულმა ფული...

**ფოტოკორესპონდენტებმა** იგი მადონას სახლიდან დილის 5 საათზე გამოსული „დააფიქსირეს". ჰოდა, აგორდა ჭორ-მართლის ტალღა, „ბულვარს" საფიქრალი გაუჩნდა — რა არის ეს, მადონას დროებითი გატაცება თუ...

მათი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ მადონას ახალი მეგობარი ნამდვილად იმსახურებს სპორტული პრესის ყურადღებას — იგი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ამერიკელი კალათბურთელი ხოსე კანსეკო გახლავთ.

და რახან ხოსე „ძვირადღირებულია", მადონას თაყვანისმცემლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ — თუ უწინ იმას ჩიოდნენ, „მადონას კაცებს" მისი სიმდიდრე უფრო იზიდავთო, ახლა საქმე სხვაგვარადაა — კანსეკოს ქონება კარგა ხანია 50 მილიონ დოლარზე მეტად ფასობს.

ცხადია, იმასაც იხსენებენ, რომ ამ საქვეყნოდ ცნობილი მომღერლის კერპი — მერილინ მონრო ცოლად გაჰყვა ამერიკის საუკეთესო კალათბურთელს დი მაჯიოს.

**ზვიად თედოზაშვილი**

# უფულოდ არავინ რჩება

**31 აგვისტოს** ნიუ-იორკში, ფლაშინგ-მედოუს კორტებზე დაიწყება „დიდი მუზარადის" ბოლო ტურნირი — აშშ-ის ღია ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს წინა შეჯიბრებებში გამარჯვებული ექვსი ჩოგბურთელი (სტეფან ედბერგი, პიტ სამპრასი, ბორის ბეკერი, ივან ლენდლი, ჯონ მაკინროუ და ჯიმი კონორსი), აგრეთვე, ყველა სხვა ცნობილი ვარსკვლავი, მათ შორის ანდრე აგასი, გორან ივანიშევიჩი, პეტრ კორდა, მაიკლ ჩანგი, გი ფორჟე, მიჰაელ შტიხი და ა. შ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა წლევანდელი ტურნირის საპრიზო ფონდი, რომელმაც 11,5 მილიონ დოლარს მიაღწია (შარშან იგი 7,25 მილიონს უდრიდა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებული ჩოგბურთელი (როგორც ცალკე ვაჟი, ისე ცალკე ქალი) მიიღებს 670 ათას დოლარს, წყვილთა თანრიგში პირველ ადგილზე გასულნი კი შესაბამისად 184 ათასს (თითოეული). საერთო საპრიზო ფონდიდან პრემიები გადაეცემათ ნახევარფინალების, მეოთხედფინალების, მერვედფინალების და წინასწარი შეხვედრების მონაწილეებს, ერთი სიტყვით, უფულოდ არავინ რჩება.

შეგახსენებთ შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულ სპორტსმენთა ვინაობას; ვაჟებში — სტეფან ედბერგი (შვეცია), ქალებში — მონიკა სელეში, ვაჟთა წყვილებში — ჯონ ფიტცჯერალდი (ავსტრალია) და ანდერს იარიდი (შვეცია), ქალთა წყვილებში — პემ შრაივერი (აშშ) და ნატალია ზვერევა (დსთ). შერეულ წყვილთა თანრიგში — მანონ ბოლეგრაფი და ტომ ნეისენი (ჰოლანდია).

**აშშ-ის** ღია ჩემპიონატის წინ შეაჯამეს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა შემოსავლები და წლევანდელი მაჩვენებლებით გამოიყვანეს პირველი სამეული, რომელიც გამოიყურება ასე:

1. **ჯიმ კურიე — 1.334 750 დოლარი**
2. **ანდრე აგასი — 918 210 დოლარი**
3. **პეტრ კორდა — 699 418 დოლარი**

გამოქვეყნდა, აგრეთვე, ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკელი აარონ კრიკშტეინი ფეხის ტრავმის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს ჩემპიონატში. მსოფლიოს მეთხუთმეტე ჩოგანმა მარცხენა ფეხი დაიზიანა ამას წინათ ლოს-ანჯელესის ტურნირში ავსტრალიელ მარკ ვუდფორდთან შეჯახების დროს. კონტაქტური ტრავმა ჩოგბურთში საერთოდ იშვიათია; არადა, რვა თვის წინ კრიკშტეინმა ზუსტად ასეთივე სიტუაციაში დაიზიანა ფეხი. დაზარალებულს გაუკეთეს ოპერაცია. თამაშს იგი, ექიმების დასკვნით, მხოლოდ სამი თვის შემდეგ შეძლებს.

# ლარი მიდის...

**ერთი** დიდი, შეიძლება ითქვას, საბოლოო ნატვრა ლარი ბიორდმა ახლახან აისრულა: გახდა ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში. მშობლიურ ბოსტონში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე 35 წლის ლარის ჰკითხეს, კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშსო. მან მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი მიღებისთვის, გულშემატკივრებს — მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის და განაცხადა, რომ კალათბურთის თამაშს თავს ანებებს ოლიმპიური ჩემპიონის რანგში.

პროფესიული კალათბურთისა და „ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთმა ყველაზე „კაშკაშა ვარსკვლავმა" 13 წელი ითამაშა ნბა-ში და საკმაოდ ღრმა კვალი, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა თავისი სრულყოფილი, იდეალამდე აყვანილი თამაშით. ჟურნალისტების აზრით, იგი კიდევ რამდენიმე წელს გაახარებდა გულშემატკივრებს მაღალი ოსტატობით, ზურგის ტრავმა რომ არა.

ლარი ბიორდი სამჯერ იყო აღიარებული ნბა-ს ყველაზე საჭირო და ძვირფას კალათბურთელად. თერთმეტჯერ შეიყვანეს იგი „ყველა ვარსკვლავის" შემადგენლობაში. 13 სეზონის მანძილზე აღებული აქვს 21791 ქულა, თამაშში საშუალოდ — 24,3.




### ფატალური წინასწარმეტყველება

**ბარსელონაში** ოლიმპიადის ერთ-ერთი გმირი, ექვსი ოქროს მედლის მფლობელი ტანვარჯიშში ვიტალი შჩერბო გაქურდეს! სახლიდან, რომელიც მინსკის ცენტრში მდებარეობს, ფაქტობრივად, ყველაფერი გაიტაცეს: 20 ათას დოლარზე მეტი, ვიდეო და აუდიოაპარატურა, საიუველირო ნაწარმი, ტანსაცმელი. ბოროტმოქმედებს გადაურჩათ მხოლოდ ოლიმპიური მედლები, ისიც იმიტომ, რომ ვიტალი ოლიმპიადის პრიზებს დედასთან ინახავდა.

ამის საშიშროებას ტანმოვარჯიშე, როგორც ჩანს, წინასწარ გრძნობდა. ბარსელონაში, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, მან დაუფარავად განაცხადა, რომ საზღვარგარეთ აპირებს საცხოვრებლად გადასვლას, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ მოუწყობენ თავდასხმას და წაართმევენ ყველაფერს, რაც საზღვარგარეთ შეიძინა, მან თავისი სათქმელი ასე დაასრულა: „მხოლოდ საზღვარგარეთ მექნება მშვიდობიანად ცხოვრებისა და ვარჯიშის საშუალება".

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: 380096, ვ. კოსტავას, 14. ტელ: 99-56-14, 99-56-47 ინდექსი 66435 INDEX

დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში